სოციალური შფოთვა ცელიაკიის მქონე პირებში

დარეჯანი ავალიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.''

დარეჯანი ავალიანი

05.06.2025

აბსტრაქტი

ცელიაკია ქრონიკული აუტოიმუნური დაავადებაა, რომლის დროსაც გლუტენის მიღება იწვევს წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის დაზიანებას. მისი მართვა მხოლოდ მკაცრი და უწყვეტი დიეტით არის შესაძლებელი, რაც დაავადების მქონე პირთათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან შეზღუდვებსა და ფსიქოსოციალურ სირთულეებს ქმნის. ასეთ კონტექსტში მაღალია სოციალური შფოთვის განვითარების რისკი - მდგომარეობის, რომელიც გამოიხატება ინტენსიური შფოთვით, შეფასებისა და უარყოფის შიშით სხვებთან ურთიერთობისას. კვლევა მიზნად ისახავს ცელიაკიის მქონე პირებში სოციალურ შფოთვასთან დაკავშირებული ფაქტორების გამოვლენას. კვლევის ინტერესის საგანი იყო დაედგინა როგორ უკავშირდება კვებითი ქცევის რეგულაციის ტიპები (კონტროლირებული და ავტონომიური მოტივაცია), რუმინაცია, გაურკვევლობისადმი ტოლერანტობა და ფსიქოლოგიური მოქნილობა სოციალურ შფოთვას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 90-მა სრულწლოვანმა პირმა, რომელთაც დადასტურებული აქვთ ცელიაკიის დიაგნოზი. კორელაციური ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ გაურკვევლობისადმი არატოლერანტობა, რუმინაცია, ფსიქოლოგიური მოუქნელობა და კონტროლირებული მოტივაცია დადებითად, ხოლო ავტონომიური მოტივაცია უარყოფითად უკავშირდება სოციალურ შფოთვას. რაც შეეხება, რეგრესიულ ანალიზსს, აღმოჩნდა, რომ გაურკვევლობისადმი არატოლერანტობა დადებითი, ავტონომიური მოტივაცია კი სოციალური შფოთვის უარყოფითი პრედიქტორია.

კვლევის შედეგებს აქვს პრაქტიკული ღირებულება. მიღებული მიგნებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფსიქოლოგიური ინტერვენციების დაგეგმვისას ცელიაკიის მქონე პირების მხარდასაჭერად. აღნიშნული საკითხების სამომავლო კვლევებში გათვალისწინება ხელს შეუწყობს, როგორც ცელიაკიის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ასევე ამ ინდივიდების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ცელიაკია, სოციალური შფოთვა, კვებითი ქცევის რეგულაცია, ავტონომიური მოტივაცია, კონტროლირებული მოტივაცია, ფსიქოლოგიური მოუქნელობა, ფსიქოლოგიური მოქნილობა, რუმინაცია, გაურკვევლობისადმი არატოლერანტობა, გაურკვევლობისადმი ტოლერანტობა.

Abstract

Celiac disease is a chronic autoimmune condition in which gluten intake causes damage to the lining of the small intestine. Management of the disease is only possible through a strict and continuous diet, which creates significant limitations and psychosocial difficulties in the daily lives of those affected. In this context, the risk of developing social anxiety is high - a condition characterized by intense anxiety, fear of evaluation and rejection in social interactions.
The present study aimed to identify the factors associated with social anxiety in individuals with celiac disease. Specifically, it explored how different types of eating behavior regulation (controlled and autonomous motivation), rumination, tolerance for uncertainty, and psychological flexibility are related to social anxiety. The study included 90 adults with a confirmed diagnosis of celiac disease. The results of the correlational analysis revealed that intolerance of uncertainty, rumination, psychological inflexibility, and controlled motivation were positively associated with social anxiety, whereas autonomous motivation was negatively associated. As for the regression analysis, it was found that intolerance of uncertainty was a positive predictor, while autonomous motivation was a negative predictor of social anxiety.

The findings have practical implications. They can be used to guide the development of psychological interventions aimed at supporting individuals with celiac disease. Considering these aspects in future research could contribute both to raising public awareness about celiac disease and improving the quality of life for affected individuals.

Main keywords: celiac disease, social anxiety, eating behavior regulation, autonomous motivation, controlled motivation, psychological inflexibility, psychological flexibility, rumination, intolerance of uncertainty, tolerance for uncertainty.

მადლობა

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნინო სხირტლაძეს, რომელიც აქტიურად ერთვებოდა კვლევის პროცესში და თითოეულ კითხვაზე ამომწურავად მპასუხობდა. მისი მხარდაჭერა ნაშრომის წარმატებით დასრულებაში დამეხმარა.

ასევე, მადლობას ვუხდი კვლევის თითოეულ მონაწილეს გამოყოფილი დროისა და კვლევის ჩატარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნისთვის.